ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

თავმჯდომარის

<u>ლევან ჟორჟოლიანის</u>

(2021 წლის 17 სექტემბრიდან - 2022 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2021 წლის 17 სექტემბრიდან 2022 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ოქტომბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 20 სხდომაში** და **განვიხილე 39 საკითხი.**

ამასთან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის **25 სხდომას** და შევისწავლე **238 საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აღნიშნულ პერიოდში შემოსულია **100-ზე მეტი** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2021 წლის 17 სექტემბრიდან - 2022 წლის 30 ოქტომბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **19 (ცხრამეტი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **472 განკარგულებისა** და **115 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიას გააჩნდა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენს (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

ასევე, იმის გათვალისწინებით რომ 2021 წელს შეიკრიბა ახალი VII მოწვევის საკრებულო შევიმუშავეთ და სხდომისთვის მოვამზადეთ არაერთი განკარგულების პროექტი, რომლებიც ეხებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა დანიშვნის, ასევე საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის, კომისიათა პერსონალური შემადგენლობების და სხვა სამართლებრივ-პროცედურულ საკითხებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად ახალი მოწვევის საკრებულოს პირობებში **გაიზარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ფუნქცია-მოვალეობები, რაც ასევე აისახა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტსა და კომისიის დებულებაში.**

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები:</u>

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის (10-15-20 წლის) განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში **610**-მდე ოჯახს გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები სხვადასხვა მისამართზე.

<u>კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:</u>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 480-მდე წევრი/მათი უფლებამონაცვლე დაკმაყოფილდა.**

<u>დაუმთავრებელი მშენებლობები:</u>

აქვე მსურს შევეხო დღეისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეალობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ **დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ერთ-ერთი უმწვავესი თემაა დედაქალაქისთვის, როგორც ურბანული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.** დედაქალაქში ათასობით ოჯახია დაზარალებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელოდებიან.

აღნიშნული პრობლების მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა **დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია,** რომელიც შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებებს/წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციას დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ **2019 წლიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის წევრი. კომისიის საქმიანობის ფარგლებში 2019-2021 წლებში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტები, რომლებიც ემსახურებოდა კომპანია „სვეტის“ „ოლიმპიური ვარსკვლავის“ „ცენტრ პოინტის“, „აქსისის“ დაუსრულებული მშენებლობების დასრულებას და აღნიშნული კომპანიების მიერ დაზარალებული ათასობით მოქალაქის დაკმაყოფილებას.**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა აქტიური მუშაობა სხვადასხვა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის. 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე **ხელშემწყობი ღონისძიებები განესაზღვრა გორგასლის ქ.N34-ში მდებარე დაუსრულებელ ობიექტს, რომლის ფარგლებში 111 დაზარალებული ოჯახი დაკმაყოფილდება.**

ასევე, მ/წლის 9 სექტემბრის სხდომაზე შესაბამისი **ხელშემწყობი ღონისძიებები განესაზღვრა შპს „ქოზი ჰოუმ თბილისსა“ და ი.ბ.ა „დიდგორი 2006“-ს,** რომელთა დახმარებით განხორციელდება წლების განმავლობაში შეჩერებული მშენებლობების დასრულება და **ჯამში დაკმაყოფილდება 350-მდე დაზარალებული ოჯახი.**

გარდა განხორციელებული პროექტებისა, მიმდინარე პერიოდშიც კომისიურ რეჟიმში არაერთი დაუსრულებელი მშენებლობის საკითხის შესწავლა მიმდინარეობს და სამომავლოდ მათი პრობლემის საბოლოო ამოწურვისათვის აუცილებელი სამუშაო ხორციელდება, რომელთა პროექტების შემუშავებისა და სამართლებრივი კუთხით გამართვის პროცესში უშუალო მონაწილეობას ვღებულობ.

<u>ავარიული შენობა-ნაგებობები:</u>

აქვე მსურს ხაზი გავუსვა საანგარიშო პერიოდში წამოწყებულ ერთ-ერთი მნიშვნელოვან პროექტს **ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.** აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე არაერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ე.წ. ბარაკები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე ამახინჯებს დედაქალაქის იერსახეს. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, განხორციელდეს მათი ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებები. მ/წლის 6 მაისის სხდომაზე დამტკიცდა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი“,** პროექტის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - ,,თბილისის განვითარების ფონდი“ და იგი შეეხება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთა ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება V, IV ან III კატეგორიას. პროექტი ხორციელდება სრულად დედაქალაქის ბიუჯეტიდან. მათ შორის, წესით გათვალისწინებულია ავარიული სახლების მაცხოვრებელთა ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის შემუშავების ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ჩართული ვიყავი, როგორც წესის სამართლებრივი კუთხით სრულყოფის პროცესში, ასევე არაერთ უწყებათაშორის სამუშაო შეხვედრას გავუწიე ორგანიზება.

აქვე უნდა აღინიშნოს, საანგარიშო პერიოდში მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განკარგულება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“,** რომელიც გულისხმობს უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება კერძო საკუთრებაში არსებული ფართების (ბინების)

შესყიდვა, შემდგომში, ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის გადაცემის მიზნით. 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში აღნიშნული ბინების შესაძენად გათვალისწინებულია ხუთი მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დღეის მდგომარეობით შეძენილია 55 ბინა.

<u>სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:</u>

საანგარიშო პერიოდში „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-47 და N17-48** დადგენილებებში არაერთი ცვლილება განხორციელდა.

დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული ზარებიდან გამომდინარე, რომლითაც მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას და მარშრუტებზე ავტობუსების რაოდენობის გაზრდას, განხორციელდა ცვლილებები არაერთი მარშრუტის სქემებში, ასევე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი მოძრავი შემადგენლობების დამატების გზით შემცირდა მოცდის ინტერვალები.

აგრეთვე, შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის გაგრძელების შესახებ საგრანტო ხელშეკრულების თაობაზე განკარგულების პროექტს, რომლის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტს 240 000 ევრომდე გრანტი გამოეყო. საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. კერძოდ, ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციასა და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას, მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის („AFC“) დანერგვას მოიცავს. ასევე, ქალაქის პოტენციალის გაზრდას - მომსახურების დაგეგმვისა და ახალი საჯარო სერვისების ხელშეკრულებების მართვისა და მონიტორინგის კუთხით, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მისაღებ უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, არაერთი თანმდევი ცვლილება

განხორციელდა სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დადგენილების პროექტებში, რომელთა შესწავლასა და სამართლებრივ-ტექნიკური კუთხით გამართვაში მონაწილეობას ვღებულობდი.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:</u>

დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით არაერთი ცვლილება შევიდა ასევე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **N39-18** დადგენილებასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში, ხოლო მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ჩართული ვიყავი მათი სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

<u>გარემოს დაცვა:</u>

საანგარიშო პერიოდში ასევე ჩართული ვიყავი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“** შინაარსობრივ-ტექნიკური კუთხით გამართვის პროცესში, რომელიც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცებულ იქნა მ/წლის 10 ივნისის სხდომაზე.

<u>ბიუჯეტი:</u>

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2022 წლის ბიუჯეტის პროექტს.** ასევე მ/წლის 15 თებერვლის, 15 აპრილის, 6 მაისის, 10 ივნისის, 16 ივლისის, 9 სექტემბრისა და 7 აგვისტოს სხდომებზე განხორციელებულ **ბიუჯეტის ცვლილების პროექტებს.** საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა თავდაპირველად დამტკიცებულ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა **254 448,4 ათასი ლარით** და შეადგინა **1 559 866,6 ათასი ლარი.**

- ასევე, მ/წლის 15 აპრილის სხდომაზე გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.**

გარდა ამისა, **განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართვას ისახავდა მიზნად.**

ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში** და **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ დადგენილებაში, რომელთა ახალი რედაქციით გაფართოებულია, როგორც პროგრამების ბენეფიციართა წრე, ასევე გაზრდილია ქვეპროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელი სამედიცინო თუ სოციალურ ღონისძიებათა ჩამონათვალი.**

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ცვლილებები განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის კუთხით მოქმედ ბიუჯეტის სხვადასხვა ქვეპროგრამებში:

სტუდენტების წახალისების კუთხით ცვლილება განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში და **სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესი.** შესაბამისად, ცვლილების მიღების შემდეგ, აღნიშნული წესის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან ერთად, ფინანსდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები.

ცვლილებები განხორციელდა ასევე სპორტის მიმართულებით არსებულ დადგენილებებში: 2021 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში და ქვეპროგრამას რომელიც ეხებოდა, მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებსა და სახეობებს, დაემატა - **პარალიმპიური თამაშები და სახეობები.** ასევე მ/წლის 9 აგვისტოს სხდომაზე დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის **„სპორტი უფროსი თაობისთვის"** (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი", რომელიც ითვალისწინებს საცურაო

აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსებას.

აქვე მოკლედ შევეხები, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქვეყანაში არსებული პანდემიის პერიოდში გატარებული ღონისძიებების საკითხს, რომელთა თაობაზე შემუშავებული სამართლებრივი აქტების სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწის პროცესშიც მონაწილეობას ვღებულობდი.**

ზემოხსენებულ პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთი ხელშემწყობი ღონისძიების სამართლებრივი რეგლამენტირება მოხდა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა იმ მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა, რომელთა სოციალური პირობები ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა. აქედან გამომდინარე, ამ სუბიექტთა მიმართ გამოსაყენებელი ხელშემწყობი ღონისძიებების თაობაზე მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტები, **რომლებიც შეეხო ჯამში 600-მდე მეწარმეს.** აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, მეწარმე სუბიექტების ნაწილი გათავისუფლდა საიჯარო ქირის გადახდისგან, გარკვეულ ნაწილს გადაუვადდა, ნაწილს კი გადახდილი თანხა ჩაეთვალა სამომავლო საიჯარო ქირის ანგარიშში, ასევე ზემოაღნიშნული სუბიექტები გათავისუფლდნენ დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასატეხლოსგან.

აგრეთვე, მოგახსენებთ რომ გახლავართ **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) აღმასრულებელი საბჭოს წევრი** და ამავე ორგანიზაციის მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში წარდგენილი ქართული დელეგაციის წევრი.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული დელეგაციის არაერთი ვიზიტი საზღვარგარეთ და ონლაინ შეხვედრა შედგა. მ/წლის 21-24 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარესთან და საკრებულოს ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მივიღე **ქ. სტრასბურგში გამართულ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 42-ე პლენარულ სესიაში,** რომლის ფარგლებში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის შესახებ მიღებულ იქნა დეკლარაცია. ასევე ადგილობრივი ხელისუფლების პალატის შეხვედრის ფარგლებში მიღებულ იქნა საქართველოში 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიში. აღსანიშნავია რომ ანგარიშის წინასწარი საკომიტეტო განხილვის დროს გაზიარებული იქნა ჩემი, როგორც ქართული მხარის მომხსენებლის რიგი შესწორებები. გარდა ამისა სესიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას უკრაინის თემის პარალელურად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე ვისაუბრე და ყურადღება გავამახვილე ამ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ მძიმე ვითარებაზე.

ზემოხსენებული სესიის ფარგლებში შეხვედრა შედგა ასევე უკრაინის დელეგაციასთან, შეხვედრაზე, რომელშიც უკრაინის მხრიდან სხვადასხვა ოლქის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარეები და წევრები იყვნენ ჩართულნი, უკრაინაში არსებული ვითარება განვიხილეთ. ქართულმა მხარემ უკრაინულ დელეგაციას კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს მხარდაჭერა და სოლიდარობა, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების და საერთაშორისო დონეზე, ასევე ყველა იმ ღონისძიების შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია, რომლებიც საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეების დასახმარებლად მიმდინარეობს.

ასევე მ/წლის ივნისში სტამბოლში, **ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართა**, რომელშიც ვმონაწილეობდი ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) პირველ ვიცე-პრეზიდენტ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან - გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს ფრაქცია - ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან - ოთარ გრიგოლიასთან ერთად. კომიტეტის სხდომაზე, სადაც ერთ-ერთ ძირითად საკითხად ანგარიში: ,,გარემოს დაცვის ფუნდამენტური უფლებები: ყურადსაღები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის“ განიხილებოდა, იტალიელ კოლეგასთან ბელინდა გოტარდისთან ერთად თანამომხსენებლად წარვსდექი.

აგრეთვე, მ/წლის 3-4 ოქტომბერს მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი თვითმმართველობის ფორუმში. აღნიშნული ფორუმის ფარგლებში მომხსენებლის რანგში ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და ამ კუთხით განსახორციელებელ ნაბიჯებზე ვისაუბრე.

ამასთანავე, მ/წლის 24-27 ოქტომბერს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში წარდგენილი ქართული დელეგაცია ზემოხსენებული შემადგენლობით ვიმყოფებოდით ქ. სტრასბურგში, სადაც **მონაწილეობა მივიღეთ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 43-ე პლენარულ სესიაში.**

კონგრესის ფარგლებში გამოვედი მოხსენებით უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და მონაწილეობა მივიღე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დებატებში. აგრეთვე მონაწილეობა მივიღე დებატებში თემაზე - ,,ევროპის საბჭოს მომავალი და კონგრესის როლი“.

გარდა ამისა, იტალიელ კოლეგასთან - ბელინდა გოტარდისთან ერთად თანამომხსენებლად წარვსდექი თემაზე - ,,ადამიანის უფლებები და გარემო“, ასევე პლენარულ სესიაზე მოხსენებით გამოვედი ევროპის საბჭოს კონგრესისა და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) 10 წლიანი თანამშრომლობის საკითხთან დაკავშირებით.

აგრეთვე, აღნიშნული კონგრესის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე გენერალური მდივნის არჩევნებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ **საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ორგანიზება გაეწია არაერთ მნიშვნელოვან სხდომასა თუ შეხვედრას.**

გარდა ამისა, მუდმივ მზაობას გამოვთქვამ ხელი შევუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდა თაობის მაქსიმალურ ჩართულობას, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს პერმანენტულად ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, შეიძინონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე